# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

# მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი, დეკემბერი

# სარჩევი

შესავალი........................................................................................................................ 3

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა.................................. 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ......................................................................................... 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები................. 12

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში............................................................................ 14

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2015-2025 წლებში.................................................. 16

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი............................................. 17

ბიუჯეტის შემოსულობები ..................................................................................................... 17

ნაშთის ცვლილება .................................................................................................................. 21

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით .......................... 22

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები............................................................ 26

ინფრასტრუქტურის განვითარება.......................................................................................... 28

დასუფთავება და გარემოს დაცვა ........................................................................................... 31

განათლება................................................................................................................................. 33

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები .............................................. 35

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ............................ 41

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.................................................................................50

# შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე აღწერას, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2025 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2024 წლის 11 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2024 წლის ბიუჯეტიდან.

# ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა




ზესტაფონის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ყვირილას ორივე სანაპიროზე. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ხარაგაულის რაიონი, ჩრდილოაღმოსავლეთით ჭიათურის რაიონი, დასავლეთით თერჯოლის რაიონი, სამხრეთდასავლეთით ბაღდათის რაიონი.

ზესტაფონი როგორც ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბდა 1872 წელს. მანამდე ერქვა დაბა ყვირილა. ქალაქი ზესტაფონი არის როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ასევე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული კუთხის, მარგვეთის და ამავე სახელწოდების ეპარქიის ცენტრი. ქალაქის სახელწოდება დაკავშირებულია მდინარე ყვირილაზე არსებულ ფონთან, რომლითაც უხსოვარი დროიდან სარგებლობდა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა და ჩვენს მხარეში მყოფი მოგზაურები. წყაროებში პირველად ზესტაფონი მოხსენიებულია XVI- ე საუკუნის 60-იან წლებში. XIX- ე საუკუნის 20-იან წლებში აქ იყო კაზაკთა ჯარის პოსტი და ზესტაფონსაც დაერქვა. XX- ე საუკუნის 20-იან წლებში მცირე ხნის მანძილზე ქალაქი ატარებდა რევოლუციონერ ჯუღელის სახელს და შემდეგ დაიბრუნა ისტორიული სახელწოდება. ზესტაფონის სწრაფი ტემპებით ზრდა დაკავშირებულია ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვებასთან. საწარმოს ამუშავებამ ქალაქი აქცია საქართველოს ერთ-ერთ ინდუსტრიალურ ცენტრად

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის დაბლობსა და იმერეთის მაღლობზე. მისი რელიეფი დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით. ტერიტორია — 423 კვ. კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზღვის დონიდან 90-200 მეტრზე მერყეობს. სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში არის ადგილები, სადაც სიმაღლე 1088 მეტრს აღწევს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 17,3 ჰა დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით, 3600 ჰა - მრავალწლიანი ნარგავებით. გორაკიანი ზონა დაფარულია კოლხური ტყეებით, სადაც იზრდება ძვირფასი ჯიშის ხეები: მუხა, წიფელი, კოპიტი, კაკლის ხე და სხვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა, ბუჯა და მათი შენაკადები. მდინარეები საზრდოობენ წვიმით, თოვლით და მიწისქვეშა წყლებით. სოფელ შროშაში არის მარმარილოს კარიერი.



უნიციპალიტეტში 60 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 1 დაბა და 58 სოფელი. მუნიციპალიტეტში შექმნილია მმართველობის 19 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული:

ქალაქი — 1 ზესტაფონი;

დაბა — 1: შორაპანი;

თემი — 13: ბოსლევი, დილიკაური, ილემი, კვალითი, კლდეეთი, მეორე სვირი, როდინაული, სანახშირე, ქვედა საზანო, ქვედა საქარა, შროშა, ცხრაწყარო, ძირულა.

სოფელი — 4: ზედა საქარა, ზოვრეთი, პირველი სვირი, ფუთი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს გაიხსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალი, რამაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. ერთის მხრივ მნიშვნელოვნად განიტვირთა ძალზედ ინტენსიური მოძრაობა, რომელიც მუდმივი საცობების წყარო იყო ქალაქის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, ავტომაგისტრალის მიმდებარედ, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ეწყობა თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სადაც დასაქმდებიან ადგილობრივი მეწარმეები.

მუნიციპალიტეტში თავმოყრილია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის სოლიდური ნაწილი. რომელთა შორის მნიშვნელოვანია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. საწარმო 200 000 ტონა სასაქონლო ფეროშენადნობს აწარმოებს. წარმოებული პროდუქცია მთლიანად იტვირთება ექსპორტში: იაპონიაში, ევროპის, სამხრეთ და ჩრდილოეთის ამერიკის ქვეყნებში. ეკონომიკის წამყვანი დარგია მევენახეობა, რომელზეც წარმოებულ სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის 80 % მოდის.

ზესტაფონს დიდი პოტენციალი აქვს ტურისტული თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 23 ისტორიული ძეგლია შემორჩენილი, მათ შორის გამოირჩევა ანტიკური ხანის ციხე – ქალაქი შორაპანი, რომელიც ძვ. წ.აღ. მე – 3 საუკუნეში ააგო ქართლის მეფე ფარნავაზმა. შორაპანი დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის სავაჭრო დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. შორაპნის ციხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად უამრავი საინტერესო მასალაა ნაპოვნი, რომელიც ინახება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს მრავალი ციხე–სიმაგრე და ეკლესია–მონასტრები. მე–11 საუკუნით თარიღდება წევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც მე–16 მე–17 საუკუნეების მოხატულობაა შემორჩენილი. სოფელ როდინაულში მაცხოვრის ეკლესია, ქვედა საქარაში „თამარ მეფის ხიდი“. სოფელ როდინაულში მაცხოვრის ეკლესია, კვალითში ბარბაწმინდას ეკლესია, სადაც გადმოცემის თანახმად წმ. ბარბარეს ხელის მტევანი ინახება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არის 54,2 ათასი მოსახლე. მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდის მიხედვით ზესატაფონის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტბს შორის 11-ე, ხოლო იმერეთის რეგიონში მე-2 მუნიციპალიტეტია (გრაფიკი #1).

*გრაფიკი #1*




* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: [https://zestaponi.gov.ge/](https://zestaponi.gov.ge/)

# საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგებებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2023 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 76% იყო (გრაფიკი #2).

*გრაფიკი #2*




გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2023 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

*გრაფიკი #3*




უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (50%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნაშთის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები.შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2023 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

*გრაფიკი #4*




## საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი"-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-

4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და

რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდა 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

## საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

*გრაფიკი #5*

არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე

არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს

არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს

არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში

პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.

არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას

არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს

არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს

ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა

თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს

არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2015-2024 წლებში

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2015-2024 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

*გრაფიკი #6*




ბოლო წლების მიხედვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 7%-დან 9%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,1%-ის ფარგლებშია.

2015-დან 2024-წლამდე პერიოდში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 39 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულ მაჩვენებლებში 363 %-ია (2015 წელს 14,8 მლნ და 2024 წელს 53,8 მლნ ლარი). ჯამში 2015-დან 2024 წლის ჩათვლით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია თითქმის 276,6 მლნ-ზე მეტი ლარის ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 27,6 მლნ ლარია.

ზესტაფონის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 17% (გრაფიკი #7), რაც 10%-ით მეტია საქართველოს მუნიციპალიტეტების საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (7%), ხოლო იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯამურ მაჩვენებელზე (14%) 3%-ით მეტი.

*გრაფიკი #7*




# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

## ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2025 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 4 წლის მიხედვით.

*გრაფიკი #8*




**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფილი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები.**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

*გრაფიკი #9*

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით**




*გრაფიკი #10*

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში**




საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 23,2 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 28,9 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 68.9 % შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და

მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილია 2024 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

*გრაფიკი #11*

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების წილი მთლიან ტრანსფერში**




ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

*გრაფიკი #12*

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლები**




## ნაშთის ცვლილება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტების ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

*გრაფიკი #13*




## ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები განსაზღვრულია 35.89 მლნ ლარით. #14 გრაფიკში მოცემულია ბიუჯეტის ხარჯები წლების მიხედვით, სადაც ნათლად ჩანს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წილის ზრდა სხვა იმერეთის მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

*გრაფიკი #14*



ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელები 2018- 2024 წლებში
60,000.0
50,000.0
40,000.0
30,000.0
20,000.0
10,000.0
0.0
14.0%
12.0%
10.0%
8.0%
6.0%
4.0%
2.0%
0.0%
15,921.6
22,304.7
27,513.0
28,244
37,168
48,274
53801.4
7.0%
8.1%
9.3%
8.8%
8.4%
11.7%
10.9%
2018
2019
2020
2021
2022
2023
2024 გეგმა
ზესტაფონის მუნიციპალიტეტყის ბიუჯეტის გადასახდელები
%-ულად იმერეთის რეგიონთან

გრაფიკებში #15-ში მოცემულია 2023-2025 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით. ხოლო გრაფიკზე #16 ანალოგიური 2025 წლის მაჩვენებლები ჯამურად.

*გრაფიკი #15*




*გრაფიკი #16*

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები (ათას ლარებში და %-ში)




2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები | გეგმა ათას ლარებში |
|---|---|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | **5859.9** |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | **28595** |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | **3297.5** |
| განათლება | **6898.1** |
| კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | **5628.95** |
| ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **3532.6** |
| ტურიზმის ხელშეწყობა | **20** |
| **სულ ასიგნებები** | **53811.85** |




2025 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები | გეგმა ათას ლარებში |
|---|---|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 6,386.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | 12115 |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3059.2 |
| განათლება | 6043.3 |
| კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 4563.8 |
| ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3709.8 |
| ტურიზმის ხელშეწყობა | 15.3 |
| | |
| სულ ასიგნებები | 35892 |

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 6,386 ათასი ლარი, რაც

ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 17,7 %-ს შეადგენს. 2020-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #17-ზე.

*გრაფიკი #17*




2025 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება**

ათასი ლარი

| | |
|---|---|
| **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **6,386.0** |
| საკრებულო | 1,449.0 |
| მერია | 4,697.0 |
| გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 40.0 |
| სარეზერვო ფონდი | 200.0 |

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #18-ზე.

*გრაფიკი #18*

**მმართველობითი ხარჯი 2025 წელი**




## ინფრასტრუქტურის განვითარება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 33.8% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 12,114.6 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2020-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

*გრაფიკი #19*




2025 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები (ათასი ლარი)

| | | |
|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **12,114.6** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 10,575.8 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 984.6 |
| 02 04 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | **554.2** |




***საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების*** პროგრამა - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა -საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.

2025 საბიუჯეტო წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება განხორციელდება მოქალაქეთა მოთხოვნებიდან გამომდინარე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურისმშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების, სკვერების, სპორტული მოედნების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება, კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება. მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდ-ბოგირების შეკეთება და რეაბილიტაცია, უსინათლოთა ბილიკების და პანდუსების მოწყობა.

***გარე განათების პროგრამა*** - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე, სოფლებში (ნაწილობრივ), პარკებისა და სკვერებში არსებული გარე განათების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული გარე განათების ბოძების, ლამპიონების შეკეთება, საჭირო ნაწილების შეძენა და გამოცვლა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების

მოწყობის მიზნით ელ ენერგიის მიწოდება. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებლი ფუნქციონირება.შედეგად , მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად,ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა. ამ პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 984.6 ათას ლარს.

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 8,5 % გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3,059.2 ათას ლარს შეადგენს. 2020-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგელებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

*გრაფიკი #21*



ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

| | | სულ | საკუთარი სახსრები |
|---|---|---|---|
| 03 01 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2,715.1 | 2,715.1 |
| 03 01 03 | კეთილმოწყობისა და მწვანენარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 234.0 | 234.0 |
| 03 01 04 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 15.0 | 15.0 |
| 03 02 | მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები) | 95.1 | 95.1 |
| | სულ | 3,059.2 | 3,059.2 |

***დასუფთავება და ნარჩენების გატანა*** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ფინანსდება მუნიციპალლური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ზედა საქარა, ქვედა საქარა, ქვედა საზანო, სასახლე, დილიკაური, რკვია, ზოსლევი, პირველი სვირი (ნაწილობრივ), მეორე სვირი (ნაწილობრივ), არგვეთა, შროშა, სადგურ სვირი, როდინაული, ცხენთარო. აჯამეთი, კვალითი, ცხრაწყარო, კლდეეთი, ტაბაკინი, ალავერდი, შროშა, დაბა შორაპანი. ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის საშუალებით. შეგროვებული ნარჩენები გადის თერჯოლის ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 120 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი და 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა. ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ყოველდღიურად (უმეტეს შემთხვევებში) ნაგავსაყრელებზე დამატებით გადის 15-20 მ/კუბ ნარჩენი. ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებები (2,715.1 ათასი ლარი დასუფთავების და ნარჩენების გატანის მუხლში) ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, თანამშრომელთა ხელფასებს. პროგრამის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვება და ნარჩენების გატანა

***კეთილმოწყობისა და მწვანენარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (2024 წლის ბიუჯეტი - 234.0 ათასი ლარი)*** - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისა და განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და

მრავალწლიანი ნარგავების მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, სარეველა ბალახების და ეკალ- ბარდების გაცელვითი სამუშაოები.

***უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები 15.0 ათასი ლარი*** -პროგრამის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დაჭერა (მხოლოდ შემსყიდველის მითითებით) საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ჰუმანური/ უმტკივნეულო მეთოდებით ხელით/ლასოთი/ბადით; დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, გარეპარაზიტებზე) სტერილიზაცია/კასტრაცია/ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ძაღლისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით ან საჭიროების შემთხვევაში ჩიპით) თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა საჭირო პროცედურის შესრულების შემდგომ დაბრუნება აყვანის ადგილას.

***მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები)*** - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არასახიფათო სანიტარული ნარჩენების სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა განსაზღვრულ ადგილებში. მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით ნაგავმზიდების შეძენა.

## განათლება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 6,043.3 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #22-ზე.

*გრაფიკი #22*




განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

| | | სულ 2025 წელი | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ფონდები |
|---|---|---|---|---|
| 04 01 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება | 5,961.7 | 5,961.7 | |
| 04 03 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 71.6 | 71.6 | |
| 04 05 | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა | 10,0 | 10,0 | |
| | | 6,043.3 | 6,043.3 | 0.0 |

***ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება*** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 41 სტრუქტურული ერთეული, 77 სასწავლო სააღმზრდელო ჯგუფით 1575 აღსაზრდელით, 464,25 საშტატო ერთეულზე დასაქმებული 528 მუშაკით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ 2016 წელს მიღებული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, წლების განმავლობაში, პრიორიტეტად მიიჩნია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის, მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებამდე დაახლოება. ( კერძოდ კვების, ჰიგიენის, ინფრასტრუქტურის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლება).გამახვილდა ყურადღება უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის, როგორც აღსაზრდელთათვის ასევე მომსახურე პერსონალისათვის.

ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმაციით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი ასაკის 2305 ბავშვია, მშობელთა მომართვიანობა კი არ სცილდება 1500-1600-ს . საბავშვო ბაღების ეფექტიანი ფუნქიონირების უზრუნველსაყოფად. 2025 წლის ბიუჯეტში სტრუქტურულ

ერტეულებში ბავშვთა დასწრების საშუალო გამტარიანობა გათვლილია 950 ბავშვზე და ერთი ბავშვის კვების დღიური ღირებულება 4,20 ლარია.

***ზოგადი განათლების ხელშეწყობა*** - პროგრამა მოიცავს: ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა ფასიანი საჩუქრებით წახალისებას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.

## კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 4,563.8 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 13 %-ია.

*გრაფიკი #23*



პრიორიტეტის ფარგლებში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 4 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

| | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | ათას ლარში |
|---|---|---|
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1,691.8 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2,429.7 |
| 05 03 | ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება | 73.7 |
| 05 04 | ეპარქიის ხარჯები | 168.6 |
| | სულ | 4,563.8 |

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 94%-ია (4121,5 ათასი ლარი).

*გრაფიკი #24*

**კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების 2025 წლის წილობრივი მაჩვენებლები**




***სპორტის განვითარების ხელშეწყობა*** - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

| სპორტის განვითარების ხელშეწყობა | ათას ლარში |
|---|---|
| ა(ა)იპ ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი | **884.3** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მინიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა | **577.5** |
| დასვენებისა და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა | **63.7** |
| მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | **166.3** |
| სულ | **1,691.8** |

***სპორტული ღონისძიებები*** - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

*გრაფიკი #25*



***ა(ა)იპ ზესტაფონის მინიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა*** - სპორტულ სკოლას აერთიანებს 13 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე, ჭადრაკი, ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა ძიუდო გოგონები, ჭიდაობა სამბო, კიკბოქსინგი, კრივი, ველოსპორტი, ფარიკაობა, თავისუფალი ჭიდაობა. სულ, 2024 წლის ბოლოსთვის, სპორტულ სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 744 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 38 ადმიანი, მათ შორის, 13 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 25 მწვრთნელი. სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

***ა(ა)იპ ზესტაფონის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი*** - სპორტული ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, კარატე 1 ჯგუფი, კალათბურთი ვაჟების 2 ჯგუფი, და გოგონათა კალათბურთი 1 ჯგუფი, ჭიდაობა ძიუდო 3 ჯგუფი, ხელბურთი 1 ჯგუფი, სამბო 2 ჯგუფი. სულ, 2024 წლის ბოლოსთვის, ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 697 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 38 ადმიანი, მათ შორის, 20 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.სარგებლობა.

***ტურიზმი*** - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ღონისძიებების მოწყობა ტურისტების მოზიდვის მიზნით, ღვინის საერთაშორისო ფესტივალი. ბროშურების, ბუკლეტების, საინფორმაციო მგზამკვლევების და ბანერების მომზადება.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 2,429.7 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 10 ქვეპროგრამა:

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა** ათას ლარში

| | |
|---|---|
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა | **109.1** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა | **349.1** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი | **868.0** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება | **144.4** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ.ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა | **371.4** |
| ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა | **317.5** |
| ძეგლთა დაცვა | **2.1** |
| იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები | **67.9** |
| კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა | **134.1** |
| კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | **66.1** |

| სულ | 2,429.7 |
|---|---|

***ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა*** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 11 თანამშრომელი, მათშორის 4 ტექნიკური პერსონალი და 7 პედაგოგი, მოსწავლეთა კონტიგენტი 2024 წლის ბოლოსთვის განისაზღვრება 170-მდე მოსწავლით, სკოლაში ისწავლება სხვა და სხვა დისციპლინები, ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, გობელინი.

***ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა*** - მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში ( 1 ცენტრალური ,1 საბავშვო 1 საქალაო , 2 წიგნსაცავი და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა) წიგნის ფონდი შეადგენს 154893 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 2200 მოსახლე.

ცენტრალური ბიბლიოთეკა მასში შემავალი სოფლის განყოფილებებით წარმოადგენს საინტერესო და მიმზიდველ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისას, აქ იკრიბებიან ყველა თაობის ადამიანები, იღებენ განათლებასა და ახალ ინფორმაციებს. აქ ხდება შეხვედრები სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, რაიონის ხელმძღვანელობასთან. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს ახალგაზრდობის სწორად ინფორმირებას. ახორციელებს ბავშვებსა და ახალგაზრდობაზე ორიენტირებულ პროგრამებს.

***ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი*** - კულტურისა და შემოქმედების ცენტრი აერთიანებს შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებს ესენია: სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ზესტაფონი“ (43 კაცი); ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჯავარდენი“ ( 60 ბავშვი ); ხალხური საკრავების სტუდია - (14 ბავშვი); საბავშვო თეატრ-სტუდია ,,იმერეთის მარგალიტები“ - ( 15 ბავშვი); ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი - გამოყენებითი ხელოვნება - (5 ბავშვი); თოჯინების თეატრი - მომღერალ ქალთა ანსამბლი; დაბა შორაპნის კლუბის გამგე (1); ახალგაზრდული თეატრ სტუდია; (37 ბავშვი), რომელთა მიზანია: ახალგაზრდა თაობის მოზიდვა და ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში, ტრადიციების შენარჩუნება, მათი შემოქმედების წარმოჩენა, როგორც რესპუბლიკის მასშტაბით ასევე რესპუბლიკის გარეთ.

წლის განმავლობაში შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ.

***ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება*** – დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მუზეუმების გაერთიანებაში შემავალი ორი მუზეუმი: გენიალური ქართველი მსახიობის უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი და გივი ჯაოშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმების გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 12 ადამიანი. მუზეუმების გაერთიანების ფუნქციონირების მიზანია: მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია ფართო მასებში. მუზეუმების ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობის დაინტერესება სამუზეუმო ცხოვრებით, კერძოდ: სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-პოპულარიზაციით, საგანმანათლებლო პროექტებით, კონკურსებით, ლექცია-სემინარებით, გამოფენებით, შემოქმედებითი საღამოებით. ჩამოთვლილი ღონისძიებები ემსახურებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას.მუზეუმების გაერთიანების პერსონალი ვალდებულია ვიზიტორებს მოემსახურონ და შეუქმნან მათ სასიამოვნო და საინტერესო გარემო.

*გრაფიკი #26*




***ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლა*** - სამუსიკო სკოლაში სწავლა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებას და სხვადასხვა ღონიძიებებში წარმატებულ მონაწილეობას. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლაში, 2024 წლის ბოლოსთვის, განათლებას იღებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 248 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია 49 თანამშრომელი. სკოლა ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე სკოლას აქვს საკუთარი შემოსავლები, რითაც ფინანსდება ადმინისტრაციის ხელფასები და გამოიყენება სკოლის კომუნალური ხარჯებისათვის.

***ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება*** - პროგრამის ფარგლებში შემდეგი პროექტების განხორციელება:

- კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.
- სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავი ღონისძიებების მოწყობა.

- ახალგაზრდების მონაწილეობით საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა.

- პროექტებში: ,, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ და ,,სპორტი ბარიერების გარეშე“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ორგანიზების ხელშეწყობა.

- გასვლით-შემეცნებითი ღონისძიებების ,,გაიცანი საქართველო“-ს ორგანიზება.

- ახალგაზრდული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

- 100% -იანი გრანტის მქონე ახალგაზრდების დაჯილდოება.

ოქროს მედალოსანი სკოლის მოსწავლეების წახალისება, რომლებიც არიან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული.

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3,709.8 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 10,3 %-ს შეადგენს.

*გრაფიკი #27*



2025 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 92 % მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (3,403.5 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 7% (269.6 ათასი ლარი).

*გრაფიკი #28*

**ჯანმრთელობისა დაცვის და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის დაფინანსება**




***ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი -*** პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი, ენტომოლოგიური ღონისძიებები)

2 იმუნიზაციია.

3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა

4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

5. ზედამხედველობის სისტემით (შეტყობინების, სენტილური (მგრძნობიარე) სისტემით, რუტინული სტატისტიკური მონაცემების რეგისტრაცია, ხარისხია შეფასება, დაზუსტება და გადაცემა დადგენილი წესით..

***ამბულატორიები*** - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების ხელშეწყობა, ინტერნეტის მომსახურეობის და კომუნალური გადასახადების სუბსიდირება.

***სოციალური დაცვის პროგრამებისათვის*** ზესტაფონის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 3,403.5 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 14 ქვეპროგრამა:

**სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები** (ათასი ლარი)

| | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება | **1,351.2** |
| სამედიცინო მომსახურების ფინანსური დახმარება | **420.0** |
| საცხოვრებლით უზრუნველყოფა | **500.0** |
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება | **175.0** |
| სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის ,,უფასო სადილი-''თ უზრუნველყოფა | **150.0** |
| ეპილეფსიისთა და პარკინსონით დაავადებულების დახმარება | **60.0** |
| თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება | **159.2** |
| ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა | **65.0** |
| საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება | **57.0** |
| სადღესასწაულო დახმარება | **205.0** |
| სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება | **80.0** |
| ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება | **159.6** |
| სარიტუალო- გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება | **14.5** |
| მარჩენალდაკარგულების დახმარება | **7.0** |
| | |
| **სულ** | **3,403.5** |

***<u>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება:</u>*** - ქვეპროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარება გაიცემა სხვადასხვა სოციალურ კატეგორიებზე. მათ შორის:

1) ლეიკემიით, ჰემოფილიით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600 ლარით .

2) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 600 ლარი .

3) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200 ლარის ოდენობით. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე

ასაკის ბენეფიციარები რომელთა დიაგნოზია ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა დახმარება ერთჯერადად 1 200 ლარი.

4) მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები დახმარება განისაზღვროს 200 ლარით.

5) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) დახმარება განისაზღვროს 500 ლარი.

6) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 200 ლარი.

7) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა -500 ლარი.

8) ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 500 ლარი. წლის განმავლობაში ქიმიო და სხივური თერაპიით, მედიკამენტებით მკურნალობისათვის დამატებით 200 ლარი.

9) ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება- 300 ლარი..

10),,განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“. ოჯახი/პირი დახმარება განისაზღვროს 100-დან არაუმეტეს 500 ლარი, წლიური ბიუჯეტი 320 000 ლარი.

11) ქვეპროგრამა: ,,გადაუდებელი საჭიროების " პროგრამა. წლიური ბიუჯეტი 10 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ მხარდაჭერას. დახმარება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000 ლარისა. ქვეპროგრამა მისახლეობისათვის მტაცებელი ცხოველებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

13) ქვეპროგრამა: ,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშეშე მერქნით დახმარება“ - ბიუჯეტი 90 000 ლარი.

12) ქვეპროგრამა მოსახლეობისათვის მტაცებელი ცხოველებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ბიუჯეტი 50 000 ლარი.

14). ქვეპროგრამა: ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება 60 60+ ბიუჯეტი- 10 000 ლარი ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება ძირითადი სამიზნე ჯგუფები პირდაპირი ქალები 60+, მამაკაცები 65+ .

15) ქვეპროგრამა : სააჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება. ბიუჯეტი 24 000 ლარი(დელეგირებ. ) ვეპროგრამის მიზანი: საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება. ქვეპროგრამის ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში

პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა.

16) ქვეპროგრამა; სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების ფინანსური დახმარების პროგრამა --- ერთჯერადად 500 ლარი.

17) ქვეპროგრამა : რეინტეგრირებული ახალგაზრდების დახმარება ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადად სოციალურ დამარებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

18). ქვეპროგრამა: მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი M45. მედიკამენტი (სკაფო) – 900 ლარი

*__საცხოვრებლით უზრუნველყოფა__* - საცხოვრებლით უზრუნველყოფა 500,0 ათასი ლარი.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით, იმ პირების /ოჯახების მიმართ რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევა საცხოვრებელი სახლი, არ აქვს თავშესაფარი და სხვა) და საჭიროებს ფინანსურ დახმარებას. ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით. დახმარება განესაზღვროს 15 000(თხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში (შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე) ბიუჯეტი -.475 000 ლარი

1.ქვეპროგრამა : „ სტიქიური მოვლენების ან/ და რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარიშხალი, უხვი ნალექი, მეწყერი, ხანძარი, ღვარცოფი, ქვათაცვენა, დიდთოვლობა და სხვა. ) შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება'' ბიუჯეტი - 25 000 ლარი.

საცხოვრებლით უზრუნველყოფა პროგრამაში მოქალაქეებს ვისაც არ აქვთ საცხოვრებელი სახლი აუშენოთ ან/და გადაეცემა თანხა საცხოვრებელი ფართის შესაძენად, გაცემის წესში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად.

*__სამედიცინო მომსახურების ფინანსური დახმარება__* - არასაპენსიო ასაკის მქონე მოქალაქეები, რომლებიც დაავადებული არიან კოქსართროზით და საჭიროებენ მენჯ-ბარძაყის პროტეზირებას, მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 001-დან 100 001 ქულამდე, დახმარება განესაზღვროთ ოპერაციის ღირებულების 50%-ით (უნაღდო ანგარიშსწორებით), მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები და მომსახურება), ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ პაციენტის მიერ დარჩენილი სახერლმწიფოს დაუფარავი სერვისების გადასახადი წილის 50 %-ით (უნაღდო ანგარიშსწორებით) პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა 100 ლარიდან არაუმეტეს 1000 ლარისა.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა PET/CT კვლევა თანადაფინანსება არა უმეტეს 1000 ლარისა.

*გრაფიკი #29*

**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**



***მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება*** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება 175.0 ათასი ლარი;

-მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს ყოველთვე დახმარება 60 ლარის ოდენობით.

-მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს ყოველთვე დახმარება 50 ლარის ოდენობით.

- მხედველობით ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს ყოველთვე დახმარება 40 ლარის ოდენობით.

***თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება / ფსორიაზით (გენერალიზებული ფორმა), (ვულგარული ფორმა) და ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება დაავადებული ბენეფიციარების დახმარება 159.2 ათასი ლარი:***

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის (ჰემო და პერიტონიალურ) პროგრამაში მყოფი ბენეფიციარების ყოველთვიურ დახმარებას, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციარებზე. ფსორიაზით (გენერალიზებული ფორმა), (ვულგარული ფორმა) დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას, თანხის ოდენობა 150 ლარი. ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება ექვს თვეში ერთჯერ დახმარებას. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. 55 ბენეფიციარის ყოველთვე 250 ლარის ოდენობით დახმარება ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების (10 ბენეფიციარი) ყოველ თვე 150 ლარის ოდენობის დახმარებას მიიღებს ჯანმრთელობის მდგომარეობი გასაუმჯობესებლად.

ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება ექვს თვეში ერთჯერ --- დახმარება 200 ლარის ოდენობით 2 ბენეფიციარი).

***ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულთა დახმარება 60,0 ათასი ლარი***

პროგრამა ითვალისწინებს მატერიალიზებული ფორმით, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის მიღმა დარჩენილი, ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. 100- 110 ბენეფიციარის ყოველთვე უფასო მედიკამენტით უზრუნველყოფა .

***სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის ,,უფასო სადილი-"თ უზრუნველყოფა 150,0 ათასი ლარი*** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური ფორმით დახმარებას ( უფასო სადილი) პირის/ოჯახის მიმართ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს) სადილით უზრუნველყოფა დღეში ერთჯერ 115 ბენეფიციარის, უფასო სასადილოში ყოველდღიურად მომსახურეობა (კვებით უზრუნველყოფა).

*ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა  65,0 ათასი ლარი* - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას იმ პირების/ ოჯახების მიმართ რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.პირველ და მეორე ახალშობილზე გასაცემი თანხა 250 ლარი. ოჯახი (ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი) რეგისტრირებული უნდა იყოს  სოციალურად დაუცველი ოჯახების  მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო  ქულა არ აღემატება 70 000-ს,  გარდა დევნილისა.

მე-3, მე –4 –ე და მეტი ახალშობილის ოჯახზე – 500.00 ლარი,  მე-7 და მეტი ახალშობილის ოჯახზე 1000 ლარი.

ტყუპი ახალშობილის ოჯახზე გასაცემი თანხა თითოეული ახალშობილისათვის 500.00 ლარი.

დევნილის ოჯახზე გასაცემი თანხა- 500.00 ლარი.

*სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 80,0 ათასი ლარი*

ქვეპროგრამა ითვალისწინებს  ფულადი დახმარების გაცემას სტიქიის (ხანძარი) შედეგად დაზარალებული პირის/ ოჯახის მიმართ, რომელთაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგათ განვითარებული სტიქიის გამო საცხოვრებელ სახლზე. სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარების  პროგრამით გათვალისწინებული 2000 ლარისა დახმარება გაიცემა 5000 ლარის ოდენობით (სტიქიით ხანძრით  შედეგად სრულათ განადგურებული სახლის შემთხვევებში).

*სარიტუალო-გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება 17,0 ათასი ლარი;*

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულად დახმარების გაცემას სარიტუალო ხარჯების უზრუნველსაყოფად, თუ გარდაცვლილი პირი არის:  სოცალური მომსახურების სააგენტოს ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (გარდაცველებამდე 3 თვით ადრე მაინც) და  ოჯახის სარეიტინგო ქულა არ არემატება 65000 -ს მაინც 300  ლარის ოდენობით,  დევნილის გარდაცვალებისასა- 300  ლარი, უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი უნაღდო ანგარიშსწორებით არაუმეტეს 400 ლარი, ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისათვის თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა -250 ლარი.სადღესასწაულო დახმარება

*სადღესასწაულო დახმარება 205.0 ათასი ლარი.*

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულადი ან/და მატერიალური ფორმით გაცემას პირის /ოჯახის ან/და სოციალური ჯგუფის მიმართ, ღირსშესანიშნავ, ტრადიციულ და ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით  სოციალური თანადგომა /მხარდაჭერის/ მიზნით.|მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები (მეომრის მეუღლე, შვილი/მშობელი) 500 ლარი,  დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულზე 500  ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 1000 ლარის ოდენობით,, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული მოქალაქეების დახმარება წელიწადში ერჯერ 300 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის ლიკვიდაციაში 20 მონაწილის დახმარება თითოეულზე 300 ლარის ოდენობით , ,,პირველკლასელთა დახმარება’’-

თითოეულ ბავშვზე 100 ლარი და სხვა კომისიის მხრიდან შერჩეული პირები და სოციალური ჯგუფები.

*__მარჩენალდაკარგულების დახმარება 7,0 ათასი ლარი__* ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახის (მეუღლე,არასრულწლოვანი შვილი) - მარჩენალდაკარგულის ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით მარჩენალდაკარგულების ოჯახების თანადგომა.

*__საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება 57,0 ათასი ლარი__*

პროგრამა ითვალისწინებსსაქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეებისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმრება წელიწადში ერთჯერ 150 ლარის ოდენობით.

*__ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით, ცელიაკიით, შაქრიანი დიაბეტით და ფილტვების ინტერსტიციული ავადმყოფობით დაავადებული ბავშვების და ქრონიკული ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლის ზემოთ პირების ფინანსური დახმარება 159,6 ათასი ლარი.__*

პროგრამა ითვალისწინებს: ფენილფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით და ცელიაკიით დაავადებულ ბავშვების ყოველთვიური ფინანსური დახმარება თითოეულზე 350 ლარის ოდენობით და ქრონიკული ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლის ზემოთ პირების დახმარება სამ თვეში ერთჯერ ექიმის ვიზიტისა და დიაგნოსტიკისათვის დახმარება - 900 ლარი. 18 წლამდე ინსულინ დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვების დახმარება თითეულზე - 350 ლარის ოდენობით ყოველ თვე.

*__ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი) 36,7 ათასი ლარი.__*

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით გახსნილი - ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, ხანდაზმულების სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობას. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**
პრიორიტეტი ითვალისწინებს მეწარმეთა საქმიანობის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

**აღწერა:** კულტურული ღონისძიებების მოწყობა ტურისტების მოზიდვის მიზნით, ღვინის საერთაშორისო ფესტივალი. ბროშურების, ბუკლეტების, საინფორმაციო მგზამკვლევების და ბანერების მომზადება.

**მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტის მოძიება, წარმოჩენა, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია